აზომვითი სამუშაოები და წინა საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა სოფ. ნიქოზშუ და ტყვიავში.

მიმდინარე წლის 9 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტები (ჯგ. NN 2019.1.1; 2019.1.2) გაემგზავრა გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნიქოზში საველე გაცნობით სწავლებაზე, სადაც ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია უკვე მრავალი წელია აარსებს კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრს ადგილობრივი, ომგადატანილი ბავშვებისათვის.

სასიხარულო და აღსანიშნავია ის ფაქტი რომ მაგისტრებთან და სამაგისტრო საკურსო დავალებასთან მუშაობის სურვილი და ინტერესი გამოთქვეს მესამე კურსელებმაც (ჯგ. 6706)

საველე გასვლაში მონაწილეობა მიიღო 57 სტუდენტმა

ფაკულტეტის სტუდენტებმა მეუფე ისაიას და ოკუპირებული ტერიტორიის მხარში დგომის გამოსახატავად, გასულ სემესტრში შეასრულეს ერთი პროექტი . პროექტი წარმოადგენდა უკვე არსებული სახელოვნებო სკოლის გაგრძელებას - ორი სახის სამაყურებლო დარბაზი. (შეიძლება ითქვას დიდი და მცირე დარბაზები)

საპროექტო სამუშაოები დაიყო ეტაპებად, რის შემდეგაც საჭირო გახდა მეორე და მესამე ეტაპის განხორციელება.

ამჯერად სტუდენტებისათვის საპროექტო დავალებას წარმოადგენს, მოცემულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობა ნაგებობების რეკონსტრუქციის შემდეგ მისი კერამიკის სკოლად გადაკეთება.

ძალიან გულთბილი დახვედრის შემდეგ,

მიტროპოლიტი ისაიას დახმარებით სტუდენტები გაეცნენ ტაძრის ტერიტორიას და მის შემოგარენს,



მოხდა ფოტო ფიქსაცია, გაკეთდა პირველადი სამუშაო ანაზომები, ჩაინიშნეს მოთხოვნები რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ეპარქიასთან არსებული სკოლის ნორმებს და მოთხოვნებს.

შეკრება მოხდა მონასტრის ეზოში ახლად აღდგენილი სასახლის დარბაზში.

ნიქოზის სამუშაოების შემდეგ ჯგუფმა გადაინაცვლა სოფელ ტყვიავში. შემდეგი საპროექტო დავალება წარმოადგენდა სოფ. ტყვიავის კულტურის სახლის რესტავრაცია- რეაბილიტაციის პროექტს.

ადგილზე დაგვხვდა კულტურის სახლის დირექტორი და ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენელი.

შენობის განახლების სურვილი გამოთქვეს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის სამსახურის წარმომადგენლებმა, კერძოდ , რწმუნებულის მოადგილემ. ბ-ნმა ნუგზარ სამხარაძემ. რომელიც სტუმრად იმყოფებოდა ჩვენს ფაკულტეტზე, ზემოთ აღნიშნული კონკურსის საპროეტო ნამუშევრების საბოლოო შეფასების და საუკეთესო პროექტების გამოსავლენად, პროექტები რომლების იქცა რეალურ სამშენობლო ობიექტებად.

ასევე ტყვიავშიც მოხდა არსებული შენობის აღწერა,





ფოტო ფიქსაცია, ჩატარდა აზომვითი სამუშაოები, ადგილზევე დაისახა შემდგომში გასაგრძელებელი სამუშაოები.

სამუშაოების ჩატარების შემდეგ გადავინაცვლეთ სოფელში მდებარე წმ. გიორგის სალოცავთან მოწყობილ, ძალიან კარგად გაკეთებულ პარკში, სადაც ყველამ ერთად წარმადგინა თავის მიერ

ჩატარებული სამუშაო, შევაჯამეთ დღის შედეგი და ჩვენს მიერ შესრულებული დოკუმენტაციის რაოდენობა, ხარისხი და მნიშვნელობა.

სტუდენტებს შორის მოხდა აზრთა გაზიარება სადაც გამოითქვა მოსაზრებები სამუშაოების ჩატარებისა და ობიექტის კონცეპტუალური გაწყვეტილების შესახებ.

მცირე შესვენებისა შემდეგ ჯგუფი გამოემართა თბილისისაკენ.